სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება**<br>(ქართულად და ინგლისურად) | **მედიის კვლევები**<br>Media Studies |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია**<br>(ქართულად და ინგლისურად) | **მედიის კვლევების მაგისტრი**<br>Master of Media Studies |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება** | **120 კრედიტი (ECTS)**<br><br>**სავალდებულო სასწავლო კურსები** - 45 კრედიტი (ECTS)<br><br>**სამაგისტრო ნაშრომი** - 30 კრედიტი (ECTS)<br><br>**არჩევითი სასწავლო კურსები** - 40 კრედიტი (ECTS)<br><br>**თავისუფალი სასწავლო კურსები** - 5 კრედიტი (ECTS) |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **პროგრამის ხელმძღვანელები**<br><br>**კოორდინატორი** | **მანანა შამილიშვილი,** ფილოლოგიის დოქტორი (ჟურნალისტიკა), პროფესორი<br>**მარი წერეთელი**, ფილოლოგიის დოქტორი (ჟურნალისტიკა), ასოცირებული პროფესორი |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | • სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება შეუძლია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც გადალახავს საერთო სამაგისტრო გამოცდის მინიმალურ ზღვარს;<br>• წერითი გამოცდა სპეციალობაში;<br>• გამოცდა ინგლისური ენაში (B2 დონე)/შესაბამისი სერტიფიკატი თსუ ენების ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად;<br>• გასაუბრება მიმღებ კომისიასთან;<br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით;<br>• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი |

| | |
|---|---|
| | წესების დაცვით.<br><br>საბოლოო რანჟირებული ქულა გამოითვლება შემდეგნაირად:<br>• წერითი გამოცდა სპეციალობაში - 60 ქულა - მინიმალური 51 ქულა;<br>• ზეპირი გასაუბრება სპეციალობაში - 20 ქულა;<br>• ინგლისური ენის გამოცდა/სერთიფიკატი - 20 ქულა. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | პროგრამის მიზანია, მოამზადოს მედიის კვალიფიციური მკვლევარი, რომელიც:<br>• შეიძენს მულტიდისციპლინული და ინტერკულტურული კომუნიკაციების მოდელების კონტექსტურ, ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომლებიც მედიის განვითარებას, აუდიტორიაზე მის ზემოქმედებასა და უკუგებას განაპირობებს;<br>• სიღრმისეულად გაიაზრებს მედიის კლასიკურ კონცეფციებსა და უახლეს თეორიებს, განსაზღვრავს მის ადგილს არა მარტო მასობრივი კომუნიკაციის, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სისტემაში;<br>• კრიტიკულად გაიაზრებს მედიის როლსა და კავშირს საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესთან, მის წვლილს საზოგადოებისა და კულტურის ტრანსფორმაციაში;<br>• პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დაცვით დაგეგმავს, განახორციელებს და არგუმენტირებულად წარადგენს საკუთარი კვლევის შედეგებს, შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, აკადემიური და ფართო საზოგადოების წინაშე. |
| **სწავლის შედეგები**<br><br>*ცოდნა და გაცნობიერება;*<br><br>*უნარი;*<br><br>*პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა* | **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:**<br>1. აღწერს და სისტემურად განმარტავს მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე თეორიებისა და კვლევის მეთოდების, მათი განვითარების ისტორიას;<br>2. აცნობიერებს და არგუმენტირებულად ასაბუთებს მასკომუნიკაციის მკვლევრის როლსა და მნიშვნელობას დემოკრატიული, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში;<br>3. ღრმად და კომპლექსურად აანალიზებს დარგის პრობლემატიკას, მართებულად და დამოუკიდებლად აგებს კვლევის კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოს; |

| | |
|---|---|
| | 4. პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დაცვით, აგროვებს რეპრეზენტატულ ან/და სიღრმისეულ მონაცემებს;<br>5. შესაბამისი კვლევის ტექნიკებისა და კონტექსტური ცოდნის გამოყენებით  აანალიზებს და აფასებს არსებულ მედიაგარემოს, გამოაქვს დასაბუთებული დასკვნები;<br>6. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით ამზადებს აკადემიური დარგის შესაბამის  კვლევით ნაშრომს;<br>7. არგუმენტირებულად მსჯელობს მედიაინსტიტუციათა ფუნქციონირების სტანდარტების შესახებ და მათით ხელმძღვანელობს საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას;<br>8. პროფესიულ დონეზე იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამეცნიერო კვლევისა და მისი შედეგების მომზადება/პრეზენტაციისთვის;<br>9. საკუთარი კვლევის შედეგებით ხელს უწყობს მედიაგრემოს განვითარებასა და მედიაკლიმატის გაუმჯობესებას როგორც ლოკალურ, ისე რეგიონულ დონეზე. |
| **სწავლება-სწავლის მეთოდები** | ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი);<br>დემონსტრირების მეთოდი;<br>ჯგუფური მუშაობის მეთოდი;<br>ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;<br>დისკუსია/დებატები;<br>შემთხვევის შესწავლა (case study);<br>პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება<br>გონებრივი იერიში<br>როლური და სიტუაციური თამაში;<br>ელექტრონული სწავლების მეთოდები. |

| | |
|---|---|
| **შეფასების სისტემა** | სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:<br><br>ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;<br>ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;<br>გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.<br><br>*შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან* ***(100 ქულა)*** *განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.*<br><br>*დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.*<br><br>**შეფასების სისტემა უშვებს:**<br><br>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>• **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;<br>• **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>• **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>• **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>• **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.<br><br>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:<br>• **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>• **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.<br><br>სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.<br><br>დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის |

| | |
|---|---|
| | კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.<br><br>დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.<br><br>შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.<br><br>დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).<br><br>**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება**<br><br>**სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.**<br><br>**სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.**<br><br>სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).<br><br>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[1].“<br><br>კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა.<br><br>**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:**<br><br>**ა) აქტუალობა - 5 ქულა** |

[1] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

| | |
|---|---|
| | (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე).<br><br>**ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა**<br>(ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა).<br><br>**გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა**<br>(ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი).<br><br>**დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა**<br>(ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა).<br><br>**ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა**<br>(ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა).<br><br>**ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15**<br>(ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე). |
| **დასაქმების სფეროები** | • ყველა სახის მედია და საინფორმაციო სამსახური;<br>• საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები;<br>• ანალიტიკურ–საკონსულტაციო სააგენტოები;<br>• არასამთავრობო ორგანიზაციები;<br>• საჯარო სექტორი;<br>• მედიისა და კომუნიკაციების კვლევითი ორგანიზაციები; |

| | |
|---|---|
| | • სარეკლამო სააგენტოები და მედიამონიტორინგის კომპანიები. |
| **სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის** | სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.<br>სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით. |
| **პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი** | პროგრამის განხორციელებაში უმეტესწილად მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და ასევე მოწვეული პროფესორები.<br><br>**პროფესორი** - 5 (მანანა შამილიშვილი, ამირან ბერძენიშვილი, რევაზ ჯორბენაძე, მარიამ გერსამია, მარინა მუსხელიშვილი)<br><br>**ასოცირებული პროფესორი** - 6 (მარი წერეთელი, ნათია კუპრაშვილი, ხათუნა მაისაშვილი, რევაზ ჭიჭინაძე, მაია ტორაძე, მედეა ბადაშვილი)<br><br>**მოწვეული ლექტორი** - 10 (თამაზ ჯოლოგუა, მამუკა ანდღულაძე, ეკატერინე ბასილაია, სესილი გოგიბერიძე, ზაზა ცოტნიაშვილი, ნინო შენგელია, ივანე კეჭაყმაძე, მარეხ დევიძე), მათ შორის - 2 მეცნიერი (მანანა კვაჭანტირაძე, ადა ნემსაძე)<br><br>**უცხოელი პედაგოგი** –1 (სონია უტცი)<br><br>**პროგრამის მატერიალურ – ტექნიკური ბაზა:**<br><br>თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებას ემსახურება სარესურსო ცენტრი, რომელშიც შედის:<br>ბიბლიოთეკა 2000-ზე მეტი წიგნით; საუდიტორიო და დარგობრივ-სასემინარო ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, 103 კომპიუტერი, ლაბორატორიები; ქსეროქსის მანქანა, პრინტერები, ტელე და რადიო სტუდიები, „ნიუსრუმი“ და მულტიმედია ცენტრი.<br>თავის მხრივ, მულტიმედია ცენტრის ტექნიკური რესურსია: სატელევიზიო სტუდია და ორი რადიოსტუდია. სატელევიზიო სტუდია აღჭურვილია სამი მაღალი დეფინიციის ვიდეოკამერითა და შტატივით, შესაბამისი განათების მოწყობილობებით (3 საერთო განათება ე.წ. „ სოფტბოქსი“, 2 კონტრგანათება და 3 მიმართული განათების ხელსაწყო), ოთხი რადიომიკროფონით და სააპარატოთი, საიდანაც ხორციელდება სტუდიური გადაცემების ჩაწერა. სააპარატოში შედის ვიდეომიქშერი, აუდიომიქშერი, დინამიკები, |

| | |
|---|---|
| | სატელევიზიო მონიტორები და ვიდეომაგნიტოფონი ჩაწერის განსახორციელებლად. გარდა ამისა, სტუდიას აქვს კიდევ სამი ვიდეოკამერის სრული კომპლექტაცია (რადიომიკროფონებით, საკამერო განათებითა და შტატივებით).<br>ასევე, რადიოსტუდიები აღჭურვილია ორი მიკროფონით, აუდიომიქშერით, დინამიკებით, CD და MD პლეიერითა და რეკორდერით, შესაბამისი კომპიუტერით, რაც საშუალებას იძლევა აუდიო პოსტპროდუქციის შესაქმნელად. ნიუსრუმს აქვს შვიდი კომპიუტერი, სადაც ხდება რადიო თუ ტელეგადაცემების წინასწარი მომზადება, აქვე ხორციელდება რადიოსიუჟეტების მონტაჟიც. გარდა ამისა, ცენტრის მფლობელობაშია ოთხი ფოტოაპარატი და თორმეტი დიქტოფონი რადიოსიუჟეტების მოსამზადებლად, ასევე რამდენიმე ლეპტოპი.<br><br>აღსანიშნავია, რომ საქართველოში აშშ-ს საელჩოს „დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამით“ გამარჯვებული თსუ-ს საგრანტო პროექტის - „მედიაწიგნიერების გაუმჯობესება, როგორც დემოკრატიის განვითარების ფასილიტატორი საქართველოში“ - ფარგლებში მიმდინარეობს მულტიმედიაცენტრის რეინვენტარიზაცია, რომლის დასრულების შემდეგ მისი ტექნიკური ბაზა სრულად განახლდება.<br><br>თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მულტიმედიაცენტრის განახლებული ინფრასტრუქტურის შესახებ მომზადებული ვიდეორგოლი იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3CsTN6a<br><br>ასევე:<br>✓ თსუ-ს კომპიუტერული ბაზები;<br>✓ თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები;<br>✓ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი);<br>✓ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library<br>✓ თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ |

| | |
|---|---|
| | ✓ თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus დასხვა.https://www.tsu.ge/ka/library/page/893<br>✓ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;<br>✓ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა. |
| **პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა** | პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. |
| **აკადემიური კეთილსინდისიერება** | აკადემიურ კეთილსინდისიერებას დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.<br><br>• სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები;<br><br>• სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა გააყალბოს მონაცემები ან სხვა ინფორმაცია და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი.<br><br>იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ზემოხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება.<br><br>სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin”-ის გამოყენებით. ამ მიზნით, სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/ . |
| **დამატებითი ინფორმაცია** | სამაგისტრო პროგრამას „მედიის კვლევები“, ყოველწლიურად |

| | |
|---|---|
| (საჭიროების შემთხვევაში) | შეუძლია მიიღოს საშუალოდ 25 სტუდენტი.<br><br>სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო და ლოკალურ კონფერენციებში, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში; აქვეყნებენ სტატიებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გამოცემებში. მათ შორის, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ სამეცნიერო გამოცემებსა და მიზნობრივ - სასწავლო პროექტებში.<br><br>სამაგისტრო პროგრამის - „მედიის კვლევები“ - სხვადასხვა კურსის შემუშავებასა და კონსულტირებაში მონაწილეობენ მედიაგანვითარების საერთაშორისო ორგანიზაციები (მათ შორის, აშშ-ს უნივერსიტეტები: DePaul University და Loyola University - თან თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოში აშშ-ს საელჩოს მიერ დაფინანსებული მედიაგანათლების პროექტის - „საქართველოში ჟურნალისტური განათლების სპეციალისტთა პროფესიული განვითარების პროგრამა“ - ფარგლებში; ასევე - „დოიჩე ველე აკადემია“, გერმანია).<br><br>**პროგრამის ანალოგები:**<br><br>წარმოდგენილი პროგრამა მსგავსებას ამჟღავნებს აშშ-სა და ევროპის არაერთი უნივერსიტეტის მსგავსი მიზანდასახულობის სამაგისტრო პროგრამებთან, მეტადრე:<br><br>ამსტერდამის უნივერსიტეტის მედიის კვლევების ერთ-ერთ ყველაზე მაღალრეიტინგულ სამაგისტრო, ინტერდისციპლინურ პროგრამასთან - იხ.:<br>https://gsh.uva.nl/content/research-masters/media-studies-research/media-studies research.html<br><br>ორეგონის უნივერსიტეტის (Portland, Oregon) სამაგისტრო პროგრამასთან ,,კომუნიკაცია და მედიის კვლევები“ - იხ.:<br>https://journalism.uoregon.edu/academics/graduate-programs/media-studies- masters<br><br>კანადის ,,Concordia University”-ის მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამასთან - იხ.:<br>https://www.concordia.ca/academics/graduate/calendar/current/arts-and-science courses/communication-studies-courses.html<br><br>სტოკჰოლმის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამასთან ,,გლობალური მედიის კვლევები“ - იხ.: |

| | |
|---|---|
| | https://www.su.se/english/search-courses-and-programmes/hmkgm1.411547?semester=HT21&eventcode=18008&open-collapse-boxes=program-detail,programme-more-about,programme-application,programme-labor-market<br><br>გაერთიანებული სამეფოს სტერლინგის უნივერსიტეტის (University of Stirling) მედიის კვლევის ინტერდისციპლინურ სამაგისტრო პროგრამასთან - იხ.: https://www.masterstudies.com/MRes-Media-Research/United-Kingdom/USTIR/<br><br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის - „მედიის კვლევები“ ანალოგები შეგვიძლია მოვიძიოთ კიდევ ბევრი უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებში, რაც იმის დასტურია, რომ აღნიშნული პროგრამა ორიგინალურია, მაგრამ სამაგისტრო სწავლების საერთაშორისო გამოცდილებასაც ითვალისწინებს. |

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## სასწავლო გეგმა

**ინსტიტუტი:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ფაკულტეტი:** სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

**მიმართულება:** ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** მედიის კვლევები

**სწავლების საფეხური:** მაგისტრატურა

**კრედიტების რაოდენობა:** 120 ECTS

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:** მანანა შამილიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი (ჟურნალისტიკა), პროფესორი

მარი წერეთელი, ფილოლოგიის დოქტორი (ჟურნალისტიკა), ასოცირებული პროფესორი

**აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:** 29/07/2021; № 69/2021 (დანართი № 45)
პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): № 22316 & № 843976; 24/12/2021 – 01/07/2028
https://eqe.ge/ka/deqars/437/show

**სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი** (სასწავლო წელი): 2021-2022 გაზაფხულის სემესტრიდან

**პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები** (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[2] ნომერი და თარიღი): №22/2022 – 11/03/2022; № 61/2022 - 26/07/2022; №95/2022 – 07/10/2022; № 24/2023 - 20/03/2023; №49/2023 – 15/05/2023; №91/2023 – 11/09/2023; №28/2024 – 22/02/2024; №62/2024 – 29/04/2024; №113/2024 – 09/09/2024.

[2] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## პროგრამის სტრუქტურა

| სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი<br>120 კრედიტი (ECTS) | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სავალდებულო კურსები - 75 კრედიტი (ECTS), მათ შორის - სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი) | | | | | | | | | | | | | | |
| № | კოდი | სასწავლო კურსის დასახელება | კრედიტების რაოდენობა (ECTS) | სტუდენტის საათობრივი დატვირთვა | | | | | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | | | | ლექტორი/ ლექტორები |
| | | | | საკონტაქტო | | გამოცდის დრო (ზეპირი/ დასკვნითი) | დამოუკიდებელი | სულ | | I | II | III | IV | |
| | | | | ლექცია | სემინარი/ სამუშაო ჯგუფი | | | | | | | | | |
| 1 | | თანამედროვე ქართული მედიის კრიტიკული ანალიზი | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | | | ასოც. პროფესორი მარი წერეთელი |
| 2 | | მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები | 5 | 30 | 15 | 6 | 74 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | | | ასოც. პროფესორი ხათუნა მაისაშვილი |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | მეოცე საუკუნის ფილოსოფიურ-ესთეტიკური მიმდინარეობები და თეორიები | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | | | მოწვეული ლექტორი ადა ნემსაძე |
| 4 | | მასობრივი კომუნიკაციის თეორიები | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | | | მოწვეული ლექტორი ეკატერინე ბასილაია |
| 5 | | სამაუწყებლო პროდიუსირება | 5 | 15 | 30 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | | | ასოც. პროფესორი თინათინ მაჭარაშვილი |
| 6 | | მონაცემთა ანალიზი და მედიარეპროდუცირება | 5 | 15 | 30 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ✓ | | ასოც. პროფესორი ნათია კუპრაშვილი |
| 7 | | მედია და დემოკრატიზაცია | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | | | პროფესორი მანანა შამილიშვილი |
| 8 | | მედიისა და კომუნიკაციის კვლევის დიზაინი | 5 | 15 | 15 | 7 | 88 | 125 | მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები | | ✓ | | | ასოც. პროფესორი ხათუნა მაისაშვილი |
| 9 | | სემიოტიკური კვლევის სპეციფიკა და პრობლემატიკა | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები | | ✓ | | | მოწვეული ლექტორი მანანა კვაჭანტირაძე |
| 10 | | სამაგისტრო ნაშრომი | 30 | 60 | | | 690 | 750 | 90 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი) | | | | ✓ | სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | მოწვეული პერსონალი |
| **არჩევითი კურსები - 40 კრედიტი (ECTS)** | | | | | | | | | | | | | |
| **გლობალური კომუნიკაცია და მედიის „დღის წესრიგი“** | | | | | | | | | | | | | |
| 11 | | დღის წესრიგის ფორმირება მედიასა და პოლიტიკაში | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | | | პროფესორი მარინა მუსხელიშვილი |
| 12 | | მედიამონიტორინგი და ანალიზი | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | | | ასოც. პროფესორი მაია ტორაძე |
| 13 | | საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები და მედია | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | | | მოწვეული ლექტორი სესილი გოგიბერიძე |
| 14 | | საინფორმაციო ომები და ქართული მედია | 5 | 15 | 30 | 5 | 75 | 125 | მედიასამართალი: ყალბი ახალი ამბები და დეზინფორმაცია | | ✓ | | | მოწვეული ლექტორი ზაზა ცოტნიაშვილი |
| 15 | | გლობალური მედია და კომუნიკაციები | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები და მედია | | ✓ | | | მოწვეული ლექტორი ეკატერინე ბასილაია |
| 16 | | მედია გარემოს შეფასება და მონიტორინგი | 5 | 15 | 15 | 4 | 91 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ✓ | | მოწვეული ლექტორი მამუკა ანდღულაძე |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 | | ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | თანამედროვე ქართული მედიის კრიტიკული ანალიზი | | | ✓ | | მოწვეული ლექტორი თამაზ ჯოლოგუა |
| 18 | | კულტურა როგორც კომუნიკაცია: თეორიულ - პრაქტიკული ასპექტები | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ✓ | | ქეთევან ჯიშიაშვილი |
| 19 | | ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკა ევროპულ სააზროვნო ტენდენციათა კონტექსტში | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | | | მაია იანტბელიძე |
| **კომუნიკაციის თეორიები და მედიაეფექტები** | | | | | | | | | | | | | | |
| 20 | | მედიასამართალი: ყალბი ახალი ამბები და დეზინფორმაცია | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | | | მოწვეული ლექტორი ნინო შენგელია |
| 21 | | პროექტის მართვა | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | | | ასოც. პროფესორი მედეა ბადაშვილი |
| 22 | | სოციალური მედიის გამოყენებითი ეფექტები | 5 | 15 | 15 | 8 | 87 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | | | პროფესორი მარიამ გერსამია<br><br>მოწვეული ლექტორი სონია უტცი |
| 23 | | საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიები | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ✓ | | პროფესორი მარიამ გერსამია |
| 24 | | მედია  და ფასილიტაცია | 5 | 15 | 30 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ✓ | | პროფესორი რევაზ ჯორბენაძე |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | მოწვეული ლექტორი მარეხ დევიძე |
| 25 | | სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის (SPSS) | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ✓ | | მოწვეული ლექტორი ვანო კეჭაყმაძე |
| 26 | | ინფორმაციული საზოგადოების თეორიები | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | მასობრივი კომუნიკაციის თეორიები მეოცე საუკუნის ფილოსოფიურ-ესთეტიკური მიმდინარეობები და თეორიები | | | ✓ | | პროფესორი ამირან ბერძენიშვილი |
| 27 | | მონაცემთა ვიზუალიზება და ინფოგრაფიკის შექმნა (ინგლისურენოვანი) Data visualization and making infographics | 5 | 15 | 15 | 8 | 87 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | | | მოწვეული ლექტორი ოლენა შევჩენკო |
| 28 | | მედია და საზოგადოება | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | | | ლაურა კუტუბიძე |
| 29 | | წერა ქსელური მედიისთვის *(ციფრული მედია და ინოვაციების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამიდან)* | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | რეპორტინგი ციფრულ მედიაში | | ✓ | | | მანანა შამილიშვილი (თსუ) მარიამ კორინთელი (ბსუ) |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 30 | | მედია და უსაფრთხოება | 5 | 15 | 15 | 5 | 90 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ✓ | | ნანა ჯანაშია |
| **თავისუფალი კრედიტები - 5 ECTS** | | | | | | | | | | | | | | |

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი